თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 6

ქ. თერჯოლა 5 მაისი 2026 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩხიკვაძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ზურაბ ჩხიკვაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3.ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გრიგოლ გიორგაძე, 6. მამული კოვზირიძე, 7. ომარი ჯიხვაშვილი, 8. ბადრი ბუცხრიკიძე, 9. ნატო კვეტენაძე, 10. გიორგი ბერეკაშვილი, 11. სოსო ჩაფიჩაძე, 12. სერგი ჯიხვაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. მირზა აფრიდონიძე, 2. მაკა ყიფშიძე.

კომისიის შემადგენლობა: 14 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 12 წევრი
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282612459, 04.05.2026 წ.);

მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282611912, 29.04.2026 წ.);

მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი-მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ, საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 134.3 ათასი ლარით და შეადგენს 35980.9 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 134.3 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 134.3 ათასი ლარით. მ/შორის:

გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 84.3 ათასი ლარით (სოფ. ღვანკითი-ტელეფას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია).

საბინაო კომუნალური მეურნეობის დაფინანსება გაიზარდა 50.0 ათასი ლარით (სტიქიით დაზიანებული ოჯახის კომპენსაცია).

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12 , წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბერის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებლმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ ჩხიკვაძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12 , წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე,

ზურაბ ჩხივაძე